ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 20

გამარტივებული შესყიდვა

ქ. ქუთაისი 23 თებერვალი 2021 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, **ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით წიტაიშვილის სახით და მეორე **შპს გუდ ფუდ 2020** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის სოფიო გოგლიჩიძეს სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, **ამავე კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ აღსაზრდელთათვის მაკარონის შესყიდვა, ხელშეკრულების დანართი #1-ის შესაბამისად.
2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.
2.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ჯეროვანი მიწოდება, წინამდებარე პირობების შესაბამისად;
2.4 კლასიფიკატორის კოდი –15851100

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **16 638.62 (თექვსმეტი ათას ექვსასოცდათვრამეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი)** ლარს.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს..

4. შესყიდვის ობიექტის სტანდარტი

4.1 საკვები პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16.09 №301/ნ ბრძანების „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმები“-ს მოთხოვნებს.
4.2 საკვები პროდუქციის შენახვისა და ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნას სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნები.
4.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ააიპ ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილიალში მიწოდებულ საკვები პროდუქტების ნიმუშზე „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს-აკრედიტაციის ცენტრის“, აკრედიტირებული ლაბორატორის საგამოცდო ოქმი ან/და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ გაცემული დასკვნა, რომლითაც დადასტურდება საკვები პროდუქტების ვარგისიანობა და შესაბამისობა ტექნიკურ დავალებაში მოცემულ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებთან.

5. მიწოდების წესი

5.1 მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 24 თებერვლის ჩათვლით.
5.2 მიწოდება უნდა განხორციელდეს ააიპ ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების 37 ფილიალში დანართი #2 - ში მითითებულ მისამართებზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიწოდებული საქონელი მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ.
6.2 „მიმწოდებელი“ შეკვეთილი საქონლის ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილიალებში მიტანისას წარადგენს სასაქონლო ზედნადებს, რომელიც ხელმოწერით უნდა დაუდასტუროს გაერთიანების ფილიალის უფლებამოსილმა პირმა, რის საფუძველზედ თვეში ერთხელ გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3. ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების-ს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ამტკიცებს გაერთიანების დირექტორი დავით წიტაიშვილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, ლარებში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება საბოლოო, ფაქტიურად მოწოდებული საქნლის შესაბამისად გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და დ.ღ.გ–ს ანგარიშფაქტურის (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში) საფუძველზე.
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 არავითარი ცვლილებები ან გადახრა ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 – ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანდ და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა სუბიექტს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.
8.3 ხელშეკრულების შესრულების პროცესში რაიმე ხელის შემშლელი გარემოებების წარმოშობისას მხარეებმა ურთიერთობა უნდა მოაგვარონ წერილობითი შეტყობინების გზით.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: – ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30%-ის ოდენობით.
9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ან/და არაჯეროვანი (არაჯეროვან შესრულებად ჩაითვლება: 1. როდესაც მოწოდებული პროდუქცია არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. 2. მოწოდებული პროდუქცია ნაკლებია შეკვეთილი პროდუქციის მოცულობაზე) შესრულებისთვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;
9.4 ამ ხელშეკრულების 9.3 და 9.7.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეს რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30%-ის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.
9.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლი"–ს დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხა არ გადარიცხოს მანამ, ვიდრე „მიმწოდებელი“ არ გადაიხდის საჯარიმო თანხას და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს არ წარადგენს გაერთიანებაში.
9.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.
9.7 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო:
9.7.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
9.7.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

9.7.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრუებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“
ააიპ „ქუთაისის ბაგა ბაღების გაერთიანება“
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3
ს/კოდი: 412675396
ა/ნ: ხაზინის ერთიანი ანგარიში

დირექტორი

დავით წიტაიშვილი

NNLE Amalgamation of Kutaisi Public Nurseries

Digitally signed by NNLE Amalgamation of Kutaisi Public Nurseries
Date: 2021.02.23 11:01:00 +04'00'

„მიმწოდებელი“
შპს გუდ ფუდ 2020
საიდენტიფიკაციო კოდი: 412751632
მის: ქ. ქუთაისი, ნიკოლოზ ნეკრასოვის ქუჩა, N 120

ს/ს „ვითიბი ბანკი“
ა/ა : GE46 VT05 0000 0039 3736 02
დირექტორი

სოფიო გოგლიჩიძე

Sopio Goglichidze

Digitally signed by Sopio Goglichidze
DN: cn=Sopio Goglichidze, serialNumber=60001035426, o=Citizen, c=GE
Date: 2021.02.23 09:14:03 +04'00'

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	მაკარონი	მაკარონი – უმაღლესი ხარისხის, ფიგურული ფორმის, ქარხნული წარმოების, დამზადებული უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისგან, ფერი მოყვითალო, სუნი ნესტისა და ობის გარეშე, მდგრადი, ხარშვისას ადვილად არ უნდა კარგავდეს ფორმას, დაუტეხავი, მთელი მაკარონის წილობრივი მასა უნდა შეადგენდეს 100%–ს, დაფასოებული ქარხნული წესით 1კგ. დან 25 კგ ყუთში ან/და პოლიეთილენის პარკში , საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ეტიკეტირებით, მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის არანაკლებ 40 %.	კგ	8446	1.97	16638.62

დანართი #2

ფილიალის N	ფილიალის მისამართი	ფილიალის N	ფილიალის მისამართი
1	ახლაგაზრდობის #104ა	19	თაბუკაშვილის №207
2	გაპონოვის მე–1 შეს №5	20	ნიკეას №56
3	წერეთლის №142	21	თაბუკაშვილის №185
4	დავითაშვილის შესახვევი 2 #1	22	მიქელაძე –მეველეს მე–3 შეს. №15–ა
5	ზ. ჭავჭავაძის №2–ა	23	ასათიანის №119ა
6	ავალიანის №18	24	კიკვიძის მე–3 შეს.№4
7	ხარეზავას №7ა	25	ხორავას №8
8	სულხან–საბას №63–ა	26	კოღუაშვილის №5
9	გუგუნავას №15-5ა	27	ნიკეას მე–2 შეს.№14
10	ირ. აბაშიძის №17–გ	28	თაბუკაშვილის №26
11	ნიჟარაძის №21	29	ჩეჩელაშვილის 27
12	მაისურაძის №7	30	ლესელიძის №89
13	ბუხაიძის მე–2 მიკრ. №8	31	ნიკეას №1-9ა
14	ტყაბლაძის №3	32	ჩანჩიბაძის №12
15	ბუხაიძის №7ა	33	ჩკალოვის №3
16	ევდოშვილის №83	34	ლერმონტოვის №2
17	ბუხაიძის მე–2 მიკრ №14	35	ახალგაზრდობის მე–5 შეს. №3
18	ნიკეას №34–ა	36	სულხან-საბას №25ა
		37	ტოლსტოის №3

NNLE Amalgamation of Kutaisi Public Nurseries

Digitally signed by NNLE Amalgamation of Kutaisi Public Nurseries
Date: 2021.02.23 11:01:23 +04'00'

Sopio Goglichidze

Digitally signed by Sopio Goglichidze
DN: cn=Sopio Goglichidze, serialNumber=60001035426, o=Citizen, c=GE
Date: 2021.02.23 09:15:08 +04'00'